დაინტერესებულ მხარეთა საკონსულტაციო სემინარი

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია“
ორშაბათი, 2011 წლის 30 მაისი, 10:30-16:45

ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება ხარისხობრივი კვლევაა, რომლის ფარგლებშიც პირველად ხდება იმ 12 ინსტიტუტის ფუნქციისა და სიძლიერის შეფასება, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ კორუფციასთან ბრძოლასა და მის პრევენციაში საქართველოში.

სემინარის მიზნები:

- მიღწეულ იქნეს საქართველოს „ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის“ არსისა და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის საერთო გაგება
- დამსწრე პირებმა გამოთქვან მოსაზრებები კვლევის შესახებ მისი საბოლოო ვერსიის გამოქვეყნებამდე
- დაიხვეწოს რეკომენდაციები მომავალ პოლიტიკურ რეფორმებთან დაკავშირებით და განისაზღვროს პრიორიტეტული რეკომენდაციები

10:00	ყავა და მონაწილეთა რეგისტრაცია
10:30	**მისალმება და წარდგენა** (სამეჯლისო დარბაზი) ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ვახტანგ ლეჟავა, საქართველოს პრემიერ–მინისტრის მთავარი მრჩეველი *ინგლისურად, სინქრონული თარგმანით*
11:00	**სემინარის მიზნები: ისტორია და მეთოდოლოგია** (სამეჯლისო დარბაზი) კეიტლინ რაიანი, უფროსი ანალიტიკოსი და პროგრამის მენეჯერი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ **ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები** ერეკლე ურუშაძე, პროექტის წამყვანი მკვლევარი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ **კითხვა–პასუხი** ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი *ინგლისურად, სინქრონული თარგმანით*

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

12:45	სადილი, რესტორანი „ფილინი“ (სასტუმრო „რედისონის“ მე–2 სართული)		
14:00	**სამუშაო ჯგუფები** (ცალ–ცალკე ოთახებში)**:**		
	<u>1. ხელისუფლების ძირითადი ინსტიტუტები</u>	<u>2. საჯარო უწყებები</u>	<u>3. არასამთავრობო აქტორები</u>
	ფასილიტატორი: ქეთევან ვაშაკიძე, ევრაზიის პარტნიორობის ფონდი	*ფასილიტატორი: თამუნა ქაროსანიძე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გამგეობის წევრი*	*ფასილიტატორი: გიორგი გოგია, „ჰიუმან რაიტს უოჩი“.*
	ოთახი 3	ოთახი 5	ოთახი 6
	პარლამენტი აღმასრულებელი შტო სასამართლო	საჯარო სამსახური სამართალდამცავი უწყებები საარჩევნო ადმინისტრაცია სახალხო დამცველი კონტროლის პალატა	პოლიტიკური პარტიები მედია სამოქალაქო საზოგადოება ბიზნესი
	სამუშაო ენა: ქართული. საჭიროების შემთხვევაში იწარმოებს ინდივიდუალური თარგმანი		
15:30	შესვენება		
15:45-16:30	**სამუშაო ჯგუფებში გამართული განხილვის შედეგების წარდგენა და საბოლოო დისკუსია** (სამეჯლისო დარბაზი) ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი *ინგლისურად, სინქრონული თარგმანით*		

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

შესავალი და ზოგადი ინფორმაცია სემინარის შესახებ

მადლობას გიხდით ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის კვლევის დაინტერესებულ მხარეთა საკონსულტაციო სემინარში მონაწილეობისთვის. სემინარი კვლევის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენ წარმოგიდგენთ ამ მომენტისთვის არსებულ კვლევის მასალას, გთხოვთ, რომ გამოთქვათ თქვენი აზრი კვლევითი გუნდის დასკვნებზე და განსაზღვროთ პრიორიტეტები იმ ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციული სისტემაში იქნა აღმოჩენილი.

სამუშაო ენა

სემინარის პრეზენტაციების უმრავლესობა ინგლისურ ენაზე წარიმართება სინქრონული ქართული თარგმანით. როდესაც ნაშუადღევს მონაწილეები სამუშაო ჯგუფებად დაიყოფიან, ჯგუფების ფასილიტატორები სამუშაო ენის შესახებ გადაწყვეტილებას ჯგუფების შემადგენლობის მიხედვით მიიღებენ, ხოლო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თანამშრომლები, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნების მოვალეობას შეასრულებენ.

დროის სიმცირის გამო, ქართულად მხოლოდ ანგარიშის თითოეული თავის შესავალი ნაწილის თარგმნა მოხერხდა, თუმცა ქართულ ენაზე ასევე ხელმისაწვდომია ანგარიშის თავი კვლევის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესახებ. ანგარიშის საბოლოო ვერსია ორივე ენაზე გამოქვეყნდება.

მოსამზადებელი საკითხავი და მოლოდინი

ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის კვლევის ძირითადი თავებისა და დასკვნების და რეკომენდაციების ინგლისურენოვანი ვერსია განთავსებულია ჩვენს ინტერნეტ–გვერდზე (http://transparency.ge/en/nis-chapters-stakeholder-workshop) და მისი ჩამოტვირთვა სემინარის ყველა მონაწილეს შეუძლია. თითოეული თავის მოკლე მიმოხილვა და დასკვნებისა და რეკომენდაციების თავი კი ქართულ ენაზეც არის განთავსებული.

სემინარის მონაწილეებს შეუძლიათ მოსაზრება გაქმოთქვან ნებისმიერი თავის შესახებ, თუმცა ჩვენ არ მოველით, რომ თქვენ კვლევაში შესული ყველა სფეროს ექსპერტები იქნებით. ჩვენ სემინარზე მოვიწვიეთ როგორც კვლევაში განხილული თითოეული ინსტიტუტის წარმომადგენლები, ისე გარე ექსპერტები. კარგი იქნება, თუ სემინარის დაწყებამდე მოახერხებთ კვლევის იმ თავის (ან თავების) წაკითხვას, რომელიც თქვენი კონკრეტული ცოდნის სფეროს ეხება, ხოლო შემდგომ იმ სამუშაო ჯგუფს შეუერთდებით, რომელიც იმ საკითხს განიხილავს, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე უკეთ იცით.

სამუშაო ჯგუფები: დისკუსიის სფეროები

სამუშაო ჯგუფებმა კომენტარი უნდა გააკეთონ თითეული ინსტიტუტის შემდგომ ასპექტებზე:

1. არსებობს თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ ინსტიტუტის შესახებ, რომელიც მკვლევარს გამორჩა?
2. აქვს თუ არა ინსტიტუტს სხვა ნაკლოვანებები, რომლებიც სიას უნდა დაემატოს?
3. ხომ არ არის მოცემული ინსტიტუტის *ჯამური ქულა* ძალზე არასწორი და თუ ასეა, რატომ?
4. არის თუ არა წინასწარი რეკომენდაციები სწორი და რეალისტური? რომელი რეკომენდაცები მიაჩნიათ მონაწილეებს პრიორიტეტულად?

ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება

ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ შემუშავებული მიდგომაა, რომელიც უკვე ასზე მეტ ქვეყანაში იქნა გამოყენებული. ანალიზი წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიისა და კვლევითი ჩარჩოს მიხედვით ხორციელდება. კვლევის

ფარგლებში შეფასებულია ქვეყნის იმ 12 ძირითადი ინსტიტუტის სიძლიერე და ეფექტიანობა, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ კორუფციასთან ბრძოლაში (მაგალითად, სასამართლო, პოლიტიკური პარტიები, მედია და ბიზნესი). ბოლო პერიოდში მსგავსი კვლევები გამოქვეყნდა ირლანდიაში, უკრაინაში, დიდ ბრიტანეთში და სხვა ქვეყნებში. 2011 წელს გამოქვეყნდება სომხეთში, შრი–ლანკასა და ევროპის 25 სახელმწიფოში ჩატარებული კვლევები. დამატებით ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ინტერნეტ–გვერდზე: http://www.transparency.org/policy_research/nis

შენიშვნა ქულების დაწერის სისტემის შესახებ

ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი ფაქტობრივად ხარიხსობრივი კვლევაა, რომელიც მოიცავს ძირითადი ინსტიტუტების განხილვას და იმის შეფასებას, თუ რამდენად კარგად შეუძლიათ მათ საკუთარი ფუნქციის შესრულება კეთილსინდისიერი მმართველობის უზრუნველყოფის კუთხით. თუმცა, თითოეულ ინსტიტუტს ქულაც ეწერება, რათა შესაძლებელი იყოს სხვადასხვა ინსტიტუტის ერთმანეთთან შედარება. თითოეული ინსტიტუტის ინდიკატორები შეფასებულია 100–ქულიანი შკალით, 25–იანი ინტერვალებით (0, 25, 50, და ა.შ.). თითოეული ინსტიტუტის შემთხვევაში ცალ–ცალკე არის შეფასებული კანონმდებლობა და პრაქტიკა. სემინარზე წარმოდგენილი იქნება ყოველი ინსტიტუტის ერთიანი ჯამური ქულა.

ანგარიშის ამჟამინდელი მდგომარეობა

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამჟამად ანგარიშის მხოლოდ წინასწარი ვერსია არსებობს. ეს დოკუმენტი გადაისინჯება როგორც სემინარის შედეგების, ისე სხვა წყაროებიდან მიღებული კომენტარების (მათ შორის, გარე აკადემიური განხილვის) საფუძველზე და მნიშვნელოვან რედაქტირებას გაივლის საბოლოო გამოქვეყნებამდე, რაც 2011 წლის ივლისისთვის იგეგმება.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge